

სს "აჭარკაკმუენი"

საკონკურსო წინადადება №1443

ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15-ში 20000 მაყურებელზე
ოლიმპიური სტადიონის საკონკურსო დოკუმენტაცია




ღირებულება: 200 000 000 ლარი

არქიტექტორი: აპირან ჭედიცა

ქ. ბათუმი 2015 წ.

სიტუაციური გეგმა ში:2000



მანერსე აბაშიძის ქუჩა

ჯვარისის ქუჩა

ტაბიძის ქუჩა

ჯვარისის ქუჩა


რეჟუას ქუჩა

რეჟუას ქუჩა


ჯვარისის ქუჩა

საპროექტო ტერიტორია

საგაბრო ცენტრი




საპროექტო ტერიტორიის არეალის ურბანული განვითარების სქემა
მ:2000



პირობითი აღნიშვნა

-  საპროექტო ტერიტორია
-  საცხოვრებელი სახლები სართულიანობა 1-3
-  საცხოვრებელი კორპუსი სართულიანობა 12
-  საცხოვრებელი კორპუსი სართულიანობა 5
-  სარეკრეაციო ზონა
-  კომერციული დანიშნულების ობიექტები
-  ბუნებრივ-სამართი საღებრი
-  სამკურნეო ზონა
-  ცარიელი მიწის ნაკვეთი
-  მულტიფუნქციური ცენტრი
-  №9 საჯარო სკოლა





+25.00

+0.00

+1.77

+0.00

გენ.პეგმა შ:1000

±0.00

ა. გვარინის ქუჩა

±0.30

პირობითი აღნიშვნა


საკადასტრო საზღვარი

ველოსიპედის გზა

საფეხმავლო გზა


ავტოტრანსპორტის სავალი ნაწილი

გამწვანება




გ. ლეონიძის ქუჩა

ბ. ჭავჭავაძის ქუჩა




ექსპლიკაცია

1. კომერციული ფართი
2. დამხმარე სათავსო
3. სამედიცინო პუნქტი
4. დაცვის ოთახი
5. საინფორმაციო ცენტრი
6. სწრაფი კვება
7. სუვენირების მაღაზია
8. მუზეუმი
9. საპირფარეო (ქალი)
10. საპირფარეო (მამაკაცი)
11. პერსონალის ოთახები
12. საწყობი
13. კონტროლი
14. კიბის უჯრედი
15. ტრიბუნაზე გასასვლელი
16. სავარჯიშო ოთახი
17. გასახდელი
18. მწვინების ოთახი
19. მხარდაჭერა ვეფუე
20. ექიმის ოთახი
21. საწყობი
22. სპორტცემენტის სველი წერტილი
23. პოლი
24. მიმღები (VIP)
25. პოლი (VIP)
26. ლიფტი (VIP და პრესა)
27. ლიფტი უნარშეზღუდულთათვის
28. საპირფარეო უნარშეზღუდულის



ექსპლიკაცია

1. კიბის უჯრედი
2. საპირფარეშო (ქალი)
3. საპირფარეშო (მამაკაცი)
4. საპირფარეშო უნარშეზღუდულთათვის
5. კაფე-დარი
6. რესტორანი
7. პოლი
8. საკონფერენციო დარბაზი
9. ოფისი
10. ლიფტი (VIP და პრესა)
11. ლიფტი უნარშეზღუდულთათვის




ეკსპლიკაცია

- 1. პრეს-ლოჯა
- 2. საპირფარეშო
- 3. ლიფტი
- 4. ტრიბუნაზე გასასვლელი








გზის გეგმა ში:1000

ტერიტორიის ფუნქციური ორგანიზებისა და სატრანსპორტო ნაკადების სქემა



პირობითი აღნიშვნა

-  საპროექტო ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტის სავალი გზა
-  ველოსიპედის გზა
-  მთავარი ავტოსატრანსპორტო გზა
-  საკადასტრო საზღვარი
-  საფეხმავლო გზა

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ბათუმში, გ. ლეონიძის ქ. N15-ში. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრები მრავალწახნაგოვანია (ს.კ. 05.25.12.005), რომლის ფართობია 84712,0 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ დგას საცხოვრებელი სახლები, ძირითადად 5 და 12 სართულიანები, სავაჭრო ობიექტები, ასევე, ტერიტორიას ემიჯნება ბენზინგასამართი სადგური. საკონკურსო დავალებაა 20000 მაყურებელზე ოლიმპიური სტადიონის დაპროექტება და ასევე ორი ხელბურთის სტადიონისთვის ადგილის მონიშვნა , ერთი 3500 მაყურებელზე, ხოლო მეორე – 800 მაყურებელზე. საპროექტო ტერიტორიიდან აეროპორტამდე 4,0 კმ.-ია ავტოტრანსპორტით 5 წთ. სავალი გზაა, რკინიგზის სადგურიდან (მახინჯაური) 12 კმ. – 20 წთ. გზა, ბათუმის პორტიდან (ცენტრიდან) 6 კმ–7 წთ. გზა.

ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნების 100 % გადახურულია, პირველ სართულზე განთავსებულია: კომერციული ფართები, დამხმარე სათავსოები, სამედიცინო პუნქტი, დაცვის ოთახები, საინფორმაციო ცენტრები, სწრაფი კვების ობიექტები, მუზეუმი, საპირფარეშოები, საპირფარეშოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, პერსონალის ოთახები, საწყობები, შესასვლელში კონტროლის გასასვლელები, კიბის უჯრედები, ტრიბუნებზე გასასვლელები, სავარჯიშო ოთახები, გასახდელეები, მწრთვანელის ოთახები, მხარდამჭერთა ჯგუფის ოთახები, ექიმების ოთახები, სპორტცემენტა სველი წერტილები, ლიფტები (VIP და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის).

მეორე სართული: კიბის უჯრედი, საპირფარეშო, საპირფარეშო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, კაფე-ბარი, რესტორანი, ჰოლი, საკონფერენციო დარბაზი, ოფისები, ლიფტები (VIP და პრესა), ლიფტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

მესამე სართული: პრეს-ლოჯა, საპირფარეშო, ლიფტი, ტრიბუნებზე გასასვლელი.

ტრიბუნებზე გასასვლელი არკების განი 6 მ.-იანია, კიბის უჯრედების მარშის განი 3 მ.-ა.

ტრიბუნების ქვემოთ სივრცეში სულ განთავსდა: საპირფარეშო - 774, კაფე-ბარი - 23.

საკონკურსო ოლიმპიური სტადიონის ფასადი წარმოადგენს თეთრი ფერის მაღალი ტექნოლოგიების(hi tech) კრისტალურ არქიტექტურას, შუშის, ალუკობონდის და უმეტესწილად ხელოვნური ტექსტილის კომბინაციას. ხელოვნური ტექსტილის დატვირთვა სახურავის მზიდ ლითონის კონსტრუქციაზე ობიექტს ეკონომიური თვალსაზრისით უფრო აიაფებს და ექსპლუატაციისას ეფექტურობა გამოიხატება მზის სხივების გამტარიანობაზე და ტრიბუნების განათებაზე.

ხელბურთის სტადიონების სახურავს წარმოადგენს კლასიკური ქოლგა, რომელზეც გადაჭიმულია ხელოვნური ტექსტილი, რათა მოხდეს სახურავის მზიდი ლითონის კონსტრუქციის დატვირთების შემსუბუქება, დარბაზში მზის სხივების შეღწევა და დღის შუქით განათება. რაც შეეხება ფასადს ის შუშისა და ალუკობონდის კომბინაციისგან შესდგება.

ოლიმპიური სტადიონის ტერიტორია გამოყენებული არის როგორც გასართობ და დასასვენებელ ადგილად. რომლის სარგებლობის საშუალება ექნებათ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. ოლიმპიური სტადიონის დონე აწეულია ლეონიძის ქუჩის ნიშნულიდან +1,77 მეტრით. ყველა მთავარი შესასვლელის საფეხმავლო გზები წარმოადგენს პანდუსებს 2 გრადუსამდე დახრილობით, ამით შევძელით კიბეების ამოღება, რაც საშუალებას მისცემს ნებისმიერი უნარის მქონე ადამიანს დამოუკიდებლად გადაადგილდეს. ტერიტორიაზე მოეწყო ველობილიკი, შიდა საავტომობილო გზები. იმისათვის, რომ გარე ტერიტორიაზე მოგვეწყო ავტოსადგომები, საფეხმავლო გზები, ველობილიკი და სარეკრიაციო ზონები მაქსიმალურად ავითვისეთ ტრიბუნების ქვემოთ არსებული თავისუფალი სივრცეები და ამ სივრცეებში განვათავსეთ კვების და კომერციული ობიექტები. UEFA-ს, FIFA-სა და IAAF-ის სტანდარტების გათვალისწინებით ოლიმპიური სტადიონის და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობისთვის საჭირო გახდა საპროექტო მიწის ნაკვეთში არსებული ცალკედ დარეგისტრირებული (ს.კ. 05.25.12.006) 1880კვ.მ. ტერიტორიის ათვისება, ამიტომ უნდა მოხდეს ამ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის დემონტაჟი.

ტერიტორიაზე განთავსდა 500 ავტომობილის და 260 ველოსიპედის სადგომი.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადება შეესაბამება UEFA-ს, FIFA-სა და IAAF-ის სტანდარტებს.

არქიტექტორი :

ა. ჭედია

ინფორმაცია წარმოდგენილი საპროექტო წინადადების UEFA-ს, FIFA-სა და IAAF-ის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ:

წარმოდგენილი საპროექტო წინადადება შეესაბამება UEFA-ს, FIFA-სა და IAAF-ის სტანდარტებს.

სს "აჭარკაპშენი"-ს

დირექტორი : /გია კახიანი/

არქიტექტორი: /ამირან ჭედია/

ინფორმაცია საპროექტო წინადადების ეკონომიურობისა და ექსპლუატაციის ეფექტურობის შესახებ:

ხელოვნური ტექსტილის დატვირთვა სახურავის მზიდ ლითონის კონსტრუქციაზე ობიექტს ეკონომიური თვალსაზრისით უფრო აიაფებს და ექსპლუატაციისას ეფექტურობა გამოიხატება მზის სხივების გამტარიანობაზე და ტრიბუნების განათებაზე.

სს "აჭარკაპშენი"-ს

დირექტორი : /გია კახიანი/

არქიტექტორი: /ამირან ჭედია/